

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ

- 1 წინამდებარე დებულება არეგულირებს კავშირის უფლებას - მოითხოვოს კავშირის სუბიექტების (კლუბ(ებ)ის, გუნდ(ებ)ის) მიერ მოთამაშეთა გათავისუფლებას ეროვნულ წარმომადგენლობით გუნდებში (შემდგომში ეროვნულ ნაკრებებში) შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში.
- 2 ეროვნულ ნაკრები გუნდებია: სრკ-ს მიერ შექმნილი კაცთა, ქალთა და ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდები საერთაშორისო მატჩებში/ტურნირებში მონაწილეობის მიზნით.
- 3 კავშირს აქვს უფლება ეროვნულ-წარმომადგენლობით გუნდებში (ეროვნულ ნაკრებებში) შერჩევისა და მონაწილეობისათვის, მოსამზადებელ, სამატჩო და/ან სატურნირო პერიოდის განმავლობაში, მოითხოვოს მისი წევრი სუბიექტ(ებ)ისგან (რაგბის გუნდ(ებ)ი კლუბ(ებ)ი), ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლება.
- 4 კავშირის წევრი სუბიექტები (რაგბის გუნდ(ებ)ი კლუბ(ებ)ი), კავშირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მოვალენი არიან უპირობოდ გაათავისუფლონ მოთამაშეები გუნდიდან (კლუბიდან) ეროვნულ ნაკრებების შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, გარდა მოთამაშის ტრამვის და/ან ავადმყოფობის შემთხვევებისა.
- 5 მოთამაშის ტრამვის და/ან ავადმყოფობის შემთხვევაში კავშირს უფლება აქვს მოსთხოვოს კავშირის წევრ სუბიექტს მოთამაშის ტრამვის და/ან ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა მის მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულებიდან ან თავად უზრუნველყოს მოთამაშის სამედიცინო შემოწმება.
- 6 კავშირის არცერთ წევრ სუბიექტს არა აქვს უფლება კონტრაქტით, რაიმე ქმედებით ან პირობით: ნება არ დართოს, შეუზღუდოს, შეუყოვნოს და/ან რამენაირად ხელი შეუშალოს ნებისმიერ მის მოთამაშეს, კავშირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს ეროვნული ნაკრებების შესარჩევი შეკრებაში, მატჩში ან ტურნირში.
- 7 კავშირის არცერთ წევრ სუბიექტს არა აქვს უფლება, მოსთხოვოს რაიმე ანაზღაურება, ბენეფიტი ან წაუყენოს რაიმე პირობა კავშირს, მისი მოთამაშის ეროვნული ნაკრებების შესარჩევი შეკრებებში, მატჩში ან ტურნირში მონაწილეობისათვის გათავისუფლების სანაცვლოდ.
- 8 თუ კავშირის სუბიექტის მიერ, კავშირის მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ნაკრებების შესარჩევი შეკრებებში, მატჩში ან ტურნირში მონაწილეობისათვის მოთამაშე არ იქნა გათავისუფლებული, ასეთ მოთამაშეს ეკრძალება ნებისმიერ დონეზე რაგბის თამაში იმ პერიოდის განმავლობაში რაც მას უნდა გაეტარებინა ეროვნული ნაკრებების შესარჩევი შეკრებებში, მატჩში ან ტურნირში მონაწილეობისას და დამატებით 10 (ათი) კალენდარული დღე ვერ მიიღებს მონაწილეობას რაგბში ნებისმიერ დონეზე.

- 9 მოთამაშის მიერ ეროვნული ნაკრების შესარჩევ შეკრებებში, მატჩში ან ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში მორაგბე ვალდებულია წერილობით განაცხადოს უარი მონაწილეობაზე, რომლის შემდგომ მას 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ექნება ეროვნული ნაკრების შესარჩევ შეკრებებში, მატჩში ან ტურნირში მონაწილეობის უფლება.
- 10 ზემოთჩამოთვლილი პირობების დარღვევის შემთხვევაში, კავშირის სადისციპლინო სამსახური კავშირის წევრი სუბიექტის მიმართ განსაზღვრავს შემდეგ (და არ არის ლიმიტირებული) სანქციებს:
- ა) კავშირის წევრობის შეწყვეტა ან შეზღუდვა, კავშირის დაფინანსების შემცირება/მოხსნა..
  - ბ) ფულადი ჯარიმა;
  - გ) საცხრილო ქულების დაკლება;
  - დ) შეჯიბრებიდან მოხსნა ან დისკვალიფიკაცია ან დაქვეითება ერთი დონით;
  - ე) ისეთი სანქცია რაც ჩაითვლება შესაბამისად გრემოებებიან გამომდინარე;